სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი № 1 მარტი, 2018

# აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
acad.as@gaas.dsl.ge
conference.gaas@yahoo.com
ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51 ტ. 2-94-13-20

*ცვალე ამ ხნია ჰქვიდეს დღევანდელს, თუ კაცს პრომეტესი,*
*წინწვეს ადამიანსა თურ სიცოცხლე ამ მიარხია*
*ილია ჭავჭავაძე*

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

*გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.*

*ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.*

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები

**2018 წლის 23 მარტს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში იყო აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები.**

კრებას უძღვებოდა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აკად. გივი ჯაფარიძე. მან აღნიშნა, რომ აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენა დამთავრდა 2018 წლის 12 მარტს. საკონკურსოდ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი - აკად. გურამ ალექსიძე.

არჩევნების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, აკად. ნოდარ ჭითანავამ კრების მონაწილეებს გააცნო საკონკურსოდ წარმოდგენილი აკად. გ. ალექსიძის დოკუმენტები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების დროებით დებულებასა და აკადემიის წესდებასთან. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კრებას გააცნო აგრეთვე აკად. გ. ალექსიძის ბიოგრაფიული მონაცემები.

აკადემიის პრეზიდენტობის კანდიდატმა, აკად. გ. ალექსიძემ კრებაზე წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის სრულყოფის პროგრამა 2018-2022 წლებისათვის, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჩატარდა კენჭისყრა, რომლის შედეგად კრებაზე დამსწრე აკადემიის 30 წევრიდან 29 ხმა მიიღო აკად. გურამ ალექსიძემ, ერთი ბიულეტენი ჩაითვალა ბათილად.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიის პრეზიდენტად ხუთი წლის ვადით აირჩია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთელი შემადგენლობა ულოცავს ბატონ გურამს აკადემიის პრეზიდენტად არჩევას, უსურვებს მრავალ წარმატებას სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ხუთი წლის საქმიანობის ანგარიში

**აკად. გურამ ალექსიძის საანგარიშო მოხსენება აკადემიის საერთო კრებაზე,**

**28 თებერვალი, 2018 წელი.**

2018 წლის 28 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის საერთო კრება, სადაც განიხილეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის ანგარიში აკადემიის მიერ 2013_2017 წლებში გაწეული მუშაობისა და აკადემიის პრეზიდენტის საპრეზიდენტო ხუთწლიანი პროგრამის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა, აკად. გურამ ალექსიძემ კრების მონაწილეებს შეახსენა აკადემიის ის სამუშაო პროგრამები, რომელიც მან პრეზიდენტად არჩევის დროს თავის საპროგრამო მოხსენებაში გააშუქა. იგი შეეხო აკადემიის სტრუქტურას, აკადემიური საბჭოს მიერ ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას და განხილულ საკითხებს, აკად. გ. ალექსიძემ მიმოიხილა აკადემიის თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ორგანიზაციებთან, ისაუბრა მათთან გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმებზე, განიხილა აკადემიის მიერ ჩატარებული ღონისძიებები - საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები და მრგვალი მაგიდები. ისაუბრა აკადემიაში მოქმედ დარგობრივ ეროვნული კოორდინატორების ინსტიტუტის, აკადემიაში ჩამოყალიბებული ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, აკადემიაში აგრობიომრავალფეროვნების სამეცნიერო ცენტრის ფუნქციონირების შესახებ;

აკად. გ. ალექსიძემ კრებას მოახსენა სტატისტიკური მასალა, რომელიც ეხებოდა განვლილ ხუთ წელიწადში აკადემიის და მისი წევრების საგამომცემლო საქმიანობას - გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, სტატიებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, გამოგონებებსა და პატენტებს.

მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა ნ. ქარქაშაძემ, ო. ქეშელაშვილმა, ზ. ცქიტიშვილმა, გ. პაპუნიძემ, რ. ჩაგელიშვილმა, ჯ. გუგუშვილმა, ვ. ცანავამ, ნ. ჭითანავამ, ე. შაფაქიძემ, ნ. ჩხარტიშვილმა, თ. ყურაშვილმა, რ. მახარობლიძემ, ი. ვასაძემ, ჯ. კაციტაძემ და რ. კოპალიანმა, რომლებმაც წარმატებულად და დადებითად შეაფასეს აკად. გ. ალექსიძის პრეზიდენტობის პერიოდში აკადემიის და მისი პრეზიდენტის მიერ გაწეული საქმიანობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

ამავე კრებაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებლები - აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, ჯ. გუგუშვილი, რ. მახარობლიძე, ნ. ბაღათურია, ზ. ცქიტიშვილი, რ. ჩაგელიშვილი და ო. ქეშელაშვილი. აკადემიის საერთო კრებამ მათ მიერ გაწეული საქმიანობა შეაფასა დადებითად.

## აკადემიის საერთასორისო სამეცნიერო შრომათა კრებულ "მოამბის" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2018 წლის 30 მარტს მოისმინა მოხსენებააკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.**მომხსენებლები:** აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" პასუხისმგებელი მდივანი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“ გამოდის 1992 წლიდან. მის გამოცემაში 2016 წელს მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები შევიდა. იგი გარდაიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ, რეფერირებულ სამეცნიერო შრომათა კრებულად. ამისათვის:

1. მომზადდა და დამტკიცდა საგაგნებო დებულება (2016 წლის 11 იანვარს);
2. „მოამბის“ საქმიანობას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სტანდარტები;
3. გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრონულ

ბიბლიოთეკა „ივერიელთან“ „მოამბის“ საერთაშორისო ბაზებში გასავრცელებლად, ციფრულ კოლექციაში შეტანის საშუალებით;

4. გაფორმდა ხელშეკრულება სტამბასთან „დეგაპრინტი“, რომელიც ბეჭდავს „მოამბეს“
5. „მოამბე“ გამოიცემა წელიწადში ორჯერ;
6. „მოამბის“ 3 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია ეგზავნება პარლამენტის ბიბლიოთეკას, 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია „ტექინფორმს“;
7. შეიქმნა და დამტკიცდა სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და 7 ქვეყნის 15 გამოჩენილი მეცნიერი. საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა შემდეგია: გ.ალექსიძე - მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი - პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე - წევრი, ა.გიორგაძე - წევრი.

8. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა სტანდარტული რეფერატის ნიმუში, მოთხოვნები სამეცნიერო შრომათა კრებულისა და დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ.

**ძირითადი მოთხოვნები „მოამბის“ მიმართ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შემდეგია:**

1. დაცული უნდა იყოს გამოცემის რეგულარობა ანუ უნდა იყოს პერიოდული გამოცემა და რეგისტრირებული უნდა იყოს ISSN საერთაშორისო ცენტრში; მინიჭებული უნდა ჰქონდეს „უაკ“.
2. დაცული უნდა იყოს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის გაოგრაფია (საბჭოში უნდა შედიოდნენ მეცნიერები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან);
3. სტატიებს უნდა გააჩნდეს მეცნიერული ღირებულება. უნდა იყოს კითხვადი (სტილისტურად დახვეწილი, მეცნი-ერულად და ენობრიდვად რედაქტირებული);
4. სამეცნიერო სტატიას უნდა ახლდეს მკაფიო რეფერატი ქართულ (ორიგინალის) და ინგლისურ ენებზე;
5. რადგანაც საერთაშორისო ბაზები (ჭოშ და შცოპუს) ინგლისურენოვანია, ამიტომ, სამეცნიერო პუბლიკაციის შინაარსობრივი ინფორმაცია: სტატიის სათაური, რეფერატი, საკვანძო სიტყვები, ავტორის სამეცნიერო ხარისხი, წოდება და სხვ. წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.
6. რეფერატი უნდა გადმოსცემდეს სამუშაოს (სამეცნიერო ნაშრომის) შინარსს და გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის თვით პუბლიკაციის წაკითხვის გარეშე. იგი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მასალას რაც არ არის პუბლიკაციის ძირითად ტექსტში;
7. ინგლისურენოვანი რეფერატი ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვითაც უცხოელი სპეციალისტი აფასებს ქართველი მეცნიერის პუბლიკაციას, იყენებს თავის პუბლიკაციაში, დისკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ.

„მოამბეს“ საერთაშორისო გავრცელების თვალსაზრისით აქვს 3 წვდომა: 1) აისახება ელექტრონულ ბიბლიო-თეკა „ივერიელში“; 2) ვრცელდება პარლამენტის ბიბლიოთეკის მიერ; 3) აისახება „ტექინფორის“ რეფერირებულ ჟურნალში. ამავე დროს აისახება აკადემიის ვებგვერდზე.

„მოამბეში“ შემოღებულია რუბრიკები (განყოფილებები) სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით, აგრეთვე სპეციალური რუბრიკები.

2017 წელს გამოიცა 2 ნომერი. თითოელ ნომერში საშუალოდ 55-60 ავტორის 25-27 სტატიაა გამოქვეყნებული. თითოელი ნომრის მოცულობაა 20-22 ნ.თ.

2017 წლის მეორე ნომერი (საერთო სათვალავით 38) მიეძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნი-ერებათა აკადემიის 60 წლის საიუბილეო თარიღს.

„მოამბის“ საქმიანობა მიმდინარეობს წარმატებით, რასაც გარკვეული დადებითი წვლილი შეაქვს აკადემიის მუშაობაში.

## აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2018 წლის 30 მარტს მოისმინა მოხსენება აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ". მომხსენებლები: "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; რედაქტორის მოადგილე – აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენი "აკადემიის მაცნე" არის ყოველკვარტალური გაზეთი, რომელიც აშუქებს აკადემიურ საბჭოზე განხილულ საკითხებს, ასევე აკადემიის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, კონფერენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის საკითხებს. გასულ 2017 წელს გამოვიდა გაზეთ "აკადემიის

მაცნეს” 4 ნომერი. მის ფურცლებზე გაშუქდა საკითხები, რომელიც ეხებოდა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებებს. გაზეთში აგრეთვე გამოქვეყნდა წლის განმავლობაში ჩატარებული აკადემიის საერთო კრებების (2 საერთო კრება) მასალები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში – ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები” მასალები. სულ 38 საკითხი. აღნიშნულ გაზეთში ასევე გაშუქდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების მე-60 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები.

“აკადემიის მაცნეს” ფურცლებზე გაშუქებულ საკითხთა ჩამონათვალი: .

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2016 წელს გაწეული მუშაობისა და 2017 პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.
მომხსენებლები აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს მდივნები;
საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები, ტენდენციები და პერსპექტივები.
მომხსენებელი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა;
მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეხვედრა მეცნიერ ქალბატონებთან;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული შრომათა კრებულის „მოამბის“ გამოცემის შესახებ”. მომხსენებლები: აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულ "მოამბის” მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; პასუხისმგებელი რედაქტორი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი;

2017 წლის 24 თებერვლის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საანგარიშო კრების მასალები; ვინიცის (უკრაინა) ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის მე-IX საერთაშოროსო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის, უვნებლობის, წარმოებისა და გადამუშავების ამაღლების თანამედროვე პრობლემები” შესახებ. მომხსენებელი: პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მიერ 2016 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2017 წლის პერს– , პექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.
მომხსენებელი: აკ.წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი როლანდ კოპალიანი; სტუმრები აკადემიაში - ჩინეთის ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ჰუაჰე ინტერნეიშენელის კომერციული დირექტორი ქალბატონი ჩენ ძინი და სომხეთში ჩინეთის ცენტრის დირექტორი ქალბატონი იზაბელა მურადიანი; დანიელი პროფესორის სტინ სტენდერის საჯარო ლექცია-სემინარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში; აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების განყოფილებისა და სამეცნიერო საბჭოს მიერ ორგანიზებული გასვლითი სამეცნიერო ექსპედიცია შ.პ.ს. „მარგებელი“, შ.პ.ს.“ლაშარელა“, შ.პ.ს. “ლომთაგორა „ და კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში; საიუბილეო მილოცვები: აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის დაბადებიდან 75 და სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი; აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი; აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის ანგარიში 2016 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ; საქართველოს ფერმერთა მესამე კონგრესი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიო-მრავალფეროვნების ცენტრის ერთობლივი ექსპედიცია; აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის გახსენება; სატყეო სამეცნიერო განყოფილების მიერ ორგანიზებული გასვლითი სემინარი საგარეჯოს რაიონში “ქართული სატყეო მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებლების– აკადემიკოს ვასილ გულისაშვილისა და პროფესორ სოლომონ ქურდიანის გახსენება“. აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ინფორმაცია - „BACSA -ს საერთაშორისო კონფერენცია მეაბრეშუმეობაში“ - შეკი, აზერბაიჯანი. “პრობლემების შესახებ, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია სახელმწიფოს ძალისხმევის გარეშე.” მომხსენებელი აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია; ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ვუ კონგმინგი, ამავე აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის, პროფესორი ქალბატონ ჩანგ ჰუიჯის და ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, ჩინეთში FAO-ს კოორდინატორის, ბატონი ლიუ შონგვეის ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში და თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება; მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი- 2017; სამეცნიერო კონფერენცია აგრო-საინჟინრო მიმართულების საკითხებზე ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში; აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თამაზ თურმანიძის დაბადებიდან 85 და სამეცნიერო–პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი; პროფესორ გიორგი გაგოშიძის

მოხსენება:
„ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის ტყემცენა–რეულობის თანამედროვე მდგომარეობა და ოპტი–მიზაციის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები“; საერთაშორისო სიმპოზიუმი „ევრაზიული ბიო-მრავალფეროვნება“(ქ. მინსკი, ბელარუსია), მონაწი-ლეობდა აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონგრესი "მანქანები სოფ-ლის მეურნეობაში", ბულგარეთი, ვარნა, მონაწი-ლობდა აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე; “საქართველოში ცხოველთა სოკოვანი დაავადებე–ბის გავრცელების შესახებ.” მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; . ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის პარტნიორთა ასამბლეის მე-5 სხდომა ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ქ. ვენტიანი, მონაწილეობდა აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების და სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მიმართულების კოორდინატორის ჯგუფის ინიციატივით საერთაშორისო პროექტის „#135 – აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში (ACCES)“ ფარგლებში, ორგანიზებული იქნა მრგვალი მაგიდა თემაზე: „განათლება-კვლევა ინოვაციები“; საერთაშორისო თანამშრომლობა თხილის მრეწველობის საკითხებზე - სტუმრად აკადემიაში ორეგონას სახელმ-წიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: პროფ. შონ მეჰლენბაჩერი, იაკონ სნელინგი, ჯასტინ ლომბარდინი (რუტგერის უნივერსიტეტი), ჯორჯ მორი (თხილის მწარმოებელი ფერმერი, ჩილე) ვიქტორია ლირა (თხილის მწარმოებელი ფერმერი, ჩილე); საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია აჭარაში; "სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია" მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ ასათიანი; “თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო ინოვაციების ფორუმი” ჩინეთი, მონა-წილეობდა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის მოხსენება: "ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ორგანული და ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში."; საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია გორში; საიუბილეო გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისში; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 60 წლის იუბილის მასალები; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 60 წლისთავს თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება-აკადემიის განვლილი გზის მოკლე მიმოხილვა, აკადემიკოსები გურამ ალექსიძე, გივი ჯაფარიძე, ომარ ქეშელაშვილი. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალი წევრებით შევსების შესახებ.

## აკადემიის მიერ 2017 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2018 წლის 30 მარტს მოისმინა მოხსენება. აკადემიის მიერ 2017 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

აღინიშნა, რომ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის ინიციატივით და რედაქტორობით ყოველ წელიწადს მცირე მასშტაბით იბეჭდება სხვადასხვა დარგის პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც განკუთვნილია ფერმერებისათვის, დარგის სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისათვის და სხვა.

2013 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულია 98 რეკომენდაცია, რომელთა დიდი უმრავლესობა აკადემიაში რამოდენიმე ეგზემპლარი დარჩა.

2017 წელს გამოქვეყნებულია 13 რეკომენდაცია, მათშორის:

1. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდა დეტალების დნობის ქვეშ ავტომატური დადუღებით და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა (რეკომენდაციები);
ავტორები: ჯ. კაციტაძე, ნ. ქარქაშაძე, ი. კაპანაძე, გ. ქუთელია; რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2017;
2. მეხილეობა, თანამედროვე მდგომარეობა, პერსპექტივები (სტრატეგია), ავტორი იუზა ვასაძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2017 წელი;
3. აგრარული სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სრულყოფა (სტრატეგია), ავტორი რ. მახარობლიძე, რედაქტორი ე. შაფაქიძე, თბილისი, 2017 წელი;
4. რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარ-მოებისათვის საჭირო ტექნიკის განსაზღვრის მეთოდიკა (რეკომენდაციები), ავტორები ე. შაფაქიძე, გ. ჩიტაია, გ. მოსაშვილი, რ. ჯაფარიძე, რედაქტორი რ. მახარობლიძე, თბილისი, 2017 წელი;
5. სუბტროპიკული ხურმა (რეკომენდაციები), ავტორები რ. ჯაბნიძე, ნ. ჯაბნიძე, ბათუმი-თბილისი, 2017 წელი;
6. თხილის კულტურის მოვლა-მოყვანის აგრო-ტექნოლოგია, (რეკომენდაციები), ავტორები რ. ჯაბნიძე, ნ. ჯაბნიძე, ბათუმი-თბილისი, 2017 წელი;

7. რა უნდა იცოდეს დეგუსტატორმა (ბოსტნეული, კარტოფილი, პარკოსანი, ბაღჩეული კულტურები), რეკომენდაციები; ავტორები: გ. ალექსიძე, ნ. კაკაბაძე. ვ. ჯაფარიძე, პ. ვაჩეიშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

8. ხილი მხოლოდ ნაყოფი არ არის (რეკომენდაციები); ავტორები ვ. კვალიაშვილი, რ. თოროზაშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

9. შთანთქმითი შეჯვარების ეფექტურობა მებოცვრეობაში (რეკომენდაციები). ავტორები ჯ. გუგუშვილი, მ. ბარვენაშვილი, რ. ლოლიშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

10. ბოცვრის კვება (რეკომენდაციები). ავტორები ჯ. გუგუშვილი, გ. გოგოლი, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

11. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ეკოლოგიურად უსაფრთხო აგროტექნოლოგია (რეკომენდაციები). ავტორი რ. ლოლიშვილი, რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

12. ხილი მხოლოდ ნაყოფი არ არის (რეკომენდაციები, ქართულ რუსულ, ინგლისურ ენაზე); ავტორები ვ. კვალიაშვილი, რ. თოროზაშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

13. საქართველოს მეფუტკრეობის მდგომარეობა და სამომავლო ამოცანები (რეკომენდაცია); ავტორი გიორგი მაძღარაშვილი; რედაქტორი ე. შაფაქიძე; თბილისი, 2017 წელი;

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიიდან რეკომენდაციების მომზადებაში აქტიურად არიან ჩაბმულები აკადემიკოსები გ. ალექსიძე, ი. ვასაძე, ვ. კვალიაშვილი, რ. ჯაბნიძე, ჯ. გუგუშვილი, რ. მახარობლიძე, ჯ. კაციტაძე, ე, შაფაქიძე, გ. ნიკოლეიშვილი, გ. ჯაფარიძე, ნ. ქარქაშაძე და დოქტ. ა. გიორგაძე. მაგრამ 35 აკადემიის წევრებიდან 11 წევრის აქტიურობა ამ მიმართულებით არ არის დამაკმაყოფილებელი, მიზანშეწონილია რეკომენდაციების მომზადებაში უნდა იყოს ჩართული აკადემიის წევრების დიდი რაოდენობა, რაც მათი პირადი მოვალეობაცაა და ამას კანონიც და აკადემიის წესდებაც მიუთითებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აკად. იუზა ვასაძის (20 რეკომენდაცია), აკად. რეზო ჯაბნიძის (17 რეკომენდაცია), აკად. გ. ალექსიძის (11 რეკომენდაცია), აკად. ე. შაფაქიძის და წ/კ გ.ნიკოლეიშვილის (10 რეკომენდაცია) და აკად. ჯ. გუგუშვილის (9 რეკომენდაცია) ამ მიმართულებით აქტიურობა, რაც მისასალმებელია და მისაბაძი უნდა იყოს აკადემიის სხვა წევრებისათვის.

2018 წლის სამ თვეში უკვე გამოცემულია 13 რეკომენდაცია, მათ შორის აკად. გ. ალექსიძე - 8; აკად. ჯ. გუგუშვილი - 3, აკად. ი. ვასაძე - 2.

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობით გამოცემული რეკომენდაციებისა, ამ პროცესში აქტიურად არის ჩაბმული აკად. ო. ქეშელაშვილი. 2017 წელს მის მიერ გამოცემულია სოფლის მეურნეობის გაძღოლის ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლი – 9, სახელმწიფოებრივი პროგრამული რეკომენდაციები – 12 (მცირე მასშტაბებით).

## შეხვედრა
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან

2018 წლის 01 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს გაფართოებული სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„ინფორმაცია აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2017 წელს განხორციელებული და 2018 წელში განსახორციელებელი პროგრამების შესახებ“, მომხსენებელი აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე.

თავის მოხსენებაში მინისტრი შეეხო იმ ძირითად პროგრამებს, რომელთა განხორციელება დაიწყო 2017 წელს და გაგრძელდება ან დაიწყება ახალი პროგრამები 2018 წელს. ამ პროექტებს მიეკუთვნება:“აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ (ბიუჯეტი 150000 ლარი) და ქვეპროგრამები, რომელიც შეისწავლის ქარსაფარი ზოლებს, ნიადაგის ეროზიულ პროცესებს, აქტიური მოქალაქეების ადგილობრივ განვითარებისა და ფინანსური მდგრადობის საკითხებს; სამინისტროს ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის პროგრამები (ბიუჯეტი 7211638 ლარი), რომლებიც მოიცავენ - სასათბურე მეურნეობებს, რძის წარმოების რეალიზაციას, ს.მ. მექანიზაციის ტექნიკური საშალებებით ფერმერთა უზრუნველყოფას, ვენახების გაშენებას, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას, მეჩაიეობის განვითარების ხელშეწყობას და ა.შ.

ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის პროგრამები: (ბიუჯეტი 3640016 ლარი)აგროსერვისის განვითარება, მეციტრუსეობა, აგრარული ექსტენცია, მრ პირუტყვის ჯიშგანახლება და სხვა. 2018 წელს განსახორციელებელი პროგრამებიდან დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქვეპროგრამამ “ახალი აგრარული ტექნოლოგიებისა და პროექტების დემონსტრირება“, რომელიც აჭარაში მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების პირველ ნაბიჯებს ეხება. აღნიშნული პროგრამის იდეა და ინიციატივა ეკუთვნის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და მის განხორციელებაში აკადემიის წევრებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას. პროგრამის

ფარგლებში მოეწყობა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აბრეშუმის პარკის საწარმო, სადაც ტექნოლოგიური პროცესები ძირითადად განხორციელდება აკადემიაში დამუშავებული მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით.

მინისტრის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის წევრებმა - აკადემიკოსებმა გ. ჯაფარიძემ, ნ. ქარქაშაძემ, ზ. ცქიტიშვილმა, ა. ვაშაკიძემ, ჯ. კაციტაძემ, ჯ. გუგუშვილმა, გ. პაპუნიძემ, ზ. ფუტკარაძემ, თ. ყურაშვილმა, ე. შაფაქიძემ და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ნიკოლეიშვილმა.

აჭარის არ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოხსენება და შეხვედრის მიმდინარეობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ. აღინიშნა, რომ მინისტრი ა. მესხიძე აქტიურად თანამშრომლობს აკადემიასთან. მისი პირადი ძალისხმევით ხორციელდება აჭარაში მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარების პროგრამა, მისი ინიციატივით ჩატარდება 2019 წელს აჭარაში, ქ. ბათუმში,გაეროს მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ასოციაციის BACSA-სსაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რაც დიდი მოვლენა იქნება არა მარტო რეგიონის, არამედ მთლიანად ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში. მიზანშეწონილია აგრეთვე, რომ სამინისტროს მიერ დაგეგმილ განსახორციელებელ პროექტებში, (გარდა მეაბრეშუმეობისა, სადაც აქტიურად მონაწილეობენ აკადემიის წევრები) მონაწილეობა მიიღონ აკადემიის წევრებმაც, რომლებიც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს კურირებენ. აღნიშნული ასახულია აგრეთვე სსმმაკადემიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმში, რომელსაც ხელი მოეწერა 2013 წელს.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივა აჭარაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის 2013 წელს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე აკადემიის ინიციატივით 2018 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრში დაგეგმილია თუთის აბრეშუმხვევიას საცდელი-საჩვენებელი გამოკვება არა უმეტეს ერთი კოლოფი გრენისა.

ამ მიზნით აგროსერვის ცენტრმა აკადემიის რეკომენდაციით შეკვეთა გააფორმა ოზურგეთის მექანიკურ ქარხანასთან, სადაც დამზადდება მეაბრეშუმეობის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები - თუთის ტოტებიდან ფოთლის გამცლელი და ფოთოლსაჭრელი მანქანები, მარტივი ტიპის გამოსაკვები მოწყობილობა 60 მ$^2$გამოსაკვები ფართით, პროექტით გათვალისწინებულია ნედლი პარკიდან აბრეშუმის ძაფის ამოხვევა ძაფსაღებ დაზგაზე, რომელიც ინვესტორმა და მეცენატმა ჯიმშერ ჩხაიძემ 2017 წელს 2 ცალი შეუძინა საქართველოს, ხოლო 2018 წელს მისი ნებართვით ამ დაზგას გამოიყენებენ აჭარაში.

აჭარაში თუთის აბრეშუმხვევის საცდელი გამოკვებისათვის ჰიბრიდული გრენის შესაძენად 2018 წლის 06 თებერვალს აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე, მეაბრეშუმეობის გამოცდილი სპეციალისტები, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ნარგიზ ბარამიძე და მეცნიერ თანამშრომელი ზოია წყარუაშვილი ესტუმრენ სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს განთქმულ მეაბრეშუმეს, ქალბატონ ლამარა ბეჟაშვილს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიღნაღის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ბატონი გიორგი ბოლღაშვილი. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალბატონი ლამარას მეაბრეშუმეობის გამოსაკვები და გრენის შესანახი სათავსოები, გაეცნენ ქალბატონი ლამარას აბრეშუმის პროდუქციას. მასპინძელმა აღნიშნა, რომ იგი არის დაკავებული მცირე მოცულობის საგრენაჟო საქმით და უზიარებს თავის გამოცდილებას არა მარტო საქართველოში შემორჩენილ ან დამწყებ მეაბრეშუმეებს, არამედ საკმაო რაოდენობის საზღვარგარეთის სტუმრებსაც.

ქალბატონმა ლამარამ აკადემიას საჩუქრად გადასცა 30 გრ ჰიბრიდული გრენა, რომლითაც 2018 წელს ჩატარდება საცდელი გამოკვება აჭარაში, კერძოდ აგროსერვის ცენტრის საცდელი მეურნეობის გვარას ექსპერიმენტულ ბაზაზე. აგრეთვე ქალბატონ ლამარას საშუალება ექნება მონიტორინგი გაუწიოს აჭარაში თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებას, ვინაიდან მოხდება აღმოსავლეთ საქართველოდან შეტანილი გრენით დასავლეთ საქართველოში თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება, რაც სპეციალისტების საკმაო ინტერესს იწვევს.

მარჯვნიდან – ნ. ბარამიძე, ე. შაფაქიძე, ბ. ბოლღაშვილი, ლ. ბეჟაშვილი

## აკადემიის პრემიის ლაურეატები

2018 წლის 28 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა აგრარულ დარგში 2017 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომებისათვის აკადემიის პრემიების მინიჭების საკითხი.

აღნიშნულ საკითხზე აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიური დეპარტამენტის უფროსის აკად. ელგუჯა შაფაქიძის ინფორმაცია აგრარულ დარგში 2017 წლის ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის საუკეთესო ნაშრომების გამოსავლენად აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში ჩატარებული კონკურსების შედეგების შესახებ.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აკადემიის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სამეცნიერო განყოფილებების გადაწყვეტილებები და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აგრარულ სფეროში საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომისათვის 2017 წლის პრემია მიანიჭა შემდეგ ნაშრომებს:

1. მონოგრაფიას „კლიმატის ცვლილება და სასურსათო უშიშროება“ (თბილისი, 2016), ავტორი თამაზ თურმანიძე;
2. მონოგრაფიას „საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა“ (თბილისი, 2017), ავტორები ვ. ღლიღვაშვილი, გ. ღლიღვაშვილი, ი. ქუცნაშვილი;
3. მონოგრაფიას „მწყერის კვერცხისა და ხორცის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია“ (თბილისი, 2017), ავტორი ანატოლი გიორგაძე;
4. სახელმძღვანელოს „ელექტრული მიკრო-მანქანები“ (თბილისი 2017), ავტორები ა. დიდე-ბულიძე, მ. კონჯარია, ე. მიდელაშვილი;
5. მონოგრაფიას „საკონსერვო წარმოების ტექნო-ქიმიური კონტროლი“ (თბილისი, 2017), ავტორი გ. გრიგორაშვილი;
6. მონოგრაფიას „რძის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები და სარძეო ფერმის ეფექტური მართვა საქართველოში“ (თბილისი 2017), ავტორები ზ. ცქიტიშვილი, კ. პობერეჟნა, უკრაინის რძის მწარმოებელთა ასოციაცია;
7. სახელმძღვანელოს „მცენარეთა დაცვა“ (თბილისი, 2017), ავტორები მ. ლობჟანიძე, მ. ბერუაშვილი, გ. გაგოშიძე;
8. მონოგრაფიას „ქართული მეჩაიეობა (უახლესი წარსული)“, თბილისი, 2017, ავტორები თ. კუნჭულია, შ. კიკალიშვილი, ზ. ბუკია.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს აგრარულ დარგში 2017 წლის საუკეთესო ნაშრომების პრემიის ლაურეატებს ამ მნიშვნელოვან წარმატებას.*

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიაში

მიმდინარე წლის 8 მარტს საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიას მე-3 პავილიონში საერთაშორისო ორგანიზაცია USAID REAP- ისა Trace Inc-ის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა აზიური ფაროსანას (Haloyomorpha halys) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან მასში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და პრეზიდენტის მოადგილემ დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, Trace Inc-ის პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა ბილ ლინგრენმა (აშშ), USAID - ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოადგილემ შამენა გალიმ (აშშ). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან.

აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. მან ამის ნათელ მაგალითად დაასახელა გასულ წლებში თურქეთის გამოცდილების გაზიარება ამერიკულ თეთრი პეპელას წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: საქართველოს (კავკასია) ბიომრავალფეროვნება და ინვაზიური სახეობების პრობლემები კუსებურა ბაღლინჯოს მაგალითზე. პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პირველადი შედეგები და დასკვნები აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესახებ. დოქტორი მაკა მურვანიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტი; აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებული გამოცდილება და მომავალი სეზონის გეგმები. ანდრეა კასტანია (იტალია); აზიური ფაროსანას მონიტორინგის თანამედროვე სისტემა. ბილ ლინგრენი (აშშ); ფერომონებიანი ხაფანგების ზღვარი აზიური ფაროსანასათვის: ისტორია და მომდინარე სტატუსი. პროფესორი კრის ბერგი, ვირჯინიის ტექნიკური უნივერსიტეტი (აშშ); აზიური ფაროსანას მიმართ ზოგიერთი ბიოინსექტიციდის გამოცდის წინასწარი შედეგები საქართველოში. დოქტორი ზურაბ ხიდაშელი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; წინასწარი მონაცემები აზიური ფაროსანასაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისათვის მიკოპესტიციდების გამოყენებით საქართველოში. დოქტორი მანანა კახაძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; მავნებლების პოპულაციების მართვის ინტეგრირებული მეთოდის მდგრადი ეფექტური საშუალებების, შექმნის, ტესტირების, წარმოებისა და გამოყენების პერსპექტივების მიმოხილვა. დოქტორი არჩილ ჭირაქაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; აზიური ფაროსანას მენეჯმენტის ალტერნატიული საშუალებები კომერციული ფერმერებისათვის. დოქტორი გრეგ კრავჩუკი, პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ); "მიიზიდე და მოკალი" აზიური ფაროსანასათვის: დამაიმედებელი მონაცემები აშშ-ს შუა ატლან-

ტიკის რეგიონებიდან. პროფესორი კრის ბერგი, ვირჯინიის ტექნიკური უნივერსიტეტი (აშშ); აზიური ფაროსანას პოპულაციის შემცირების პოტენციალი გამოსაზამთრებელი ადგილებისაკენ მიგრაციის პროცესში. პროფესორი კრის ბერგი, ვირჯინიის ტექნიკური უნივერსიტეტი (აშშ); აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის სამეცნიერო ასპექტები. ნიკოლოზ მესხი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო; აზიური ფაროსანას ბიოლოგიური კონტროლის პერსპექტივები. დოქტორი კიმ ჰოლმერი, USDA ARS-ის სასარგებლო მწერების ინტროდუქციის კვლევითი ერთეულის მეცნიერი, დელავერი (აშშ); საქართველოს თხილის ბაღებში აზიური ფაროსანას მართვის ტერიტორიული მიდგომების შემუშავება - გამოწვევები და გადაწყვეტის გზები. დოქტორი ფილიპ მალდერი, ოკლაჰომას უნივერსიტეტი (აშშ).

## შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სემინარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

2018 წლის 20 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიეროფონდისა და Clarivate Analytics-ის მიერ ორგანიზებული პრაქტიკული სემინარი Web of Science-ის მოხმარების წესების გაცნობის მიზნით.

სემინარს უძღვებოდა Clarivate Analytics-ის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი ვალენტინ ბოგოროვი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენელი ქალბატონი ნატალია გვერდწითელი. სემინარს ესწრებოდნენ აკადემიის დეპარტამენტების და აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული სპეციალისტები.

სემინარზე განხილული იქნა Clarivate Analytics-ის ერთ-ერთ წამყვანი საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობა - Web of Science მუშაობისა და გამოყენების პრაქტიკული მიდგომები. ონლაინ გამომცემლობა აერთიანებს მსოფლიოს როგორც უახლეს, ასევე გასული საუკუნის (1990-2017) სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, მონოგრაფიებს, წიგნებს და ა.შ. რომლის ბაზაშიც შეიძლება მოძიებულ იქნას სამეცნიერო და აკადემიური კვლევები, გამოგონებების და პატენტების ანალიზი და სარეგულაციო სტანდარტები, სავაჭრო ნიშნის დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი და ა.შ.

## აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი - 70

### ბატონო თენგიზ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 70 და სამეცნიერო - პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 20 საკითხი. მათ შორის: ინფორმაცია ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: "თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ინოვაციების ფორუმის" შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; ინფორმაცია აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსში "აგრარულ დარგში საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო . ხასიათის ნაშრომისათვის 2017 წლის პრემიის მინიჭების შესახებ" შემოსული ნაშრომების შესახებ .**მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმისა და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. პრეზიდენტის მოადგილე დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების ადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისადა 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიულისამუშაო გეგმის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე. აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია; აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელს ჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაოგეგმის შესახებ; **მომხსენებელი:** აკადემიის სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი; აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების მიერ 2017 წელსჩატარებული მუშაობისა და 2018 წლის პერსპექტიული სამუშაოგეგმის შესახებ; აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; და სხვა.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

*გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:* *სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი,* ***აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე***

*გაზეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:* *სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის* ***დოქტორი ანატოლი გიორგაძე***

*გაზეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:* *სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,* ***ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი***

**"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy "- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.**